

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო
საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №10

17 მარტი 2022 წ.

ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

15:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე

წევრები- ოთარ გრიგოლია, ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, გურამ ოქროპირიძე, ირაკლი ნადირაძე, ანა გოგოლაძე, ალექსანდრე რატიშვილი, დავით ფარცვანია.

მოწვეული სტუმრები:

უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი- ნიკოლოზ ჭონქაძე

საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე- ლევან მიქავა

სსიპ ქონების მართვის სააგენტოს უფროსი-ირაკლი თავართქილაძე

სხდომა უფლებამოსილია.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ. (12-032207378-03 14.03.2022)
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ. (12-032207378-03 14.03.2022)
3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე (01.03.2022; №12-03220601-03)
4. ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-03220752-03 16.03.2022)
5. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (№12-03220211-03 21.01.2022)
6. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ.

7. „ქ. თბილისში, ვაზისუბნის დასახლებაში, კვაჭანტირაძის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული N01.17.10.001.186 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2371 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ყოფილი საბინაო-სამშენებლო კომპერატივების წევრებისთვის/მათი უფლებამონაცვლებებისთვის და ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებული შპს „მს ბილდერისთვის“ (ს.ნ: 405427765) კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების შესახებ“ (12-032207587 16,03,2022)
8. ქალაქ თბილისში, უნივერსიტეტის ქუჩა N15ბ-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 400 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-ის (საკადასტრო კოდი: N01.14.04.028.024) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე 12-0322075102-03 16,03,2022
9. „ქ. თბილისი, მუხიანის დასახლება IV ბ მ/რ-ში, კორპუსი N45-ის მიმდებარედ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 750 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.006.958) გაცვლის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (10.02.2022; 12-03220411-03)
10. „ქალაქ თბილისში, ოქროყანა, ზონა „გ“, კოტეჯი N122-ში მდებარე 84.69 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.052.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; № 12-032202736-03)
11. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, იუნკერთა ქუჩა N34-ში მდებარე 67.74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.498.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (27.01.2022; 12-032202736-03)
12. ქალაქ თბილისში, ბესარიონ ჭიჭინაძის ქუჩა N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.23.009.031) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(10.03.2022; 12-032206918-03)
13. ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის II ჩიხის N8-ში მდებარე 72.20 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.011.01.001) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (16-032206917-03)
14. ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 41.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.029) და ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N138-140/ხრესილის ქუჩა N2-ში მდებარე 68.90 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.12.12.018.059.01.01.031) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე.(12-03220482-3 17.02.2022)
15. ქალაქ თბილისში, ჩარგლის ქუჩა N67დ-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.06.002.018.01.044) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032205551-03 24.02.2022)
16. ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N7ბ-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.21.002.003.01.040) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032205551-03 24.02.2022)
17. ქალაქ თბილისში, სოფელ წინუბანში, იაღნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.(12-032205551-03 24.02.2022)
18. ქალაქ თბილისში, გმირი კურსანტების მე-3 შესახვევი N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.05.013.036) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე (12-032205551-03 24.02.2022)
19. ქალაქ თბილისში, ომარ ხიზანიშვილის ქუჩა N41-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.003.001) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე. (12-032205551-03 24.02.2022)

20. ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე მეორეს მე-4 შესახვევი N5-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.463.01.020) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-03220481-03 17.02.2022)

21. ქალაქ თბილისში, მარუაშვილის ქუჩა N50-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.02.014.008) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

(12-03220481-03 17.02.2022)

22. ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივში, ზემო პლატოს კორპუს N10-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.005.006.01.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032206119-03)

23. ქალაქ თბილისში, სოფელ ნასაგურში, იორის ქუჩა N4-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.14.542.01.500) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “ (12-032206119-03)

24. ქალაქ თბილისში, ლადო ასათიანის ქუჩა N24-ში (საკადასტრო კოდები: N01.18.03.068.007.01.534 და N01.18.03.068.007.01.535) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032206119-03)

25. ქალაქ თბილისში, აეროპორტის დასახლება N18-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.009.038.01.502) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე “(12-032206119-03)

26. ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირის IV შესახვევის N4-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.11.31.034) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-032206120-03)

27. ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის ქუჩა, „გ“ ზონა, N18-ში მდებარე 81.12 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.100.010.01.503) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე (12-032206120-03)

28. ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N36ვ-ში მდებარე 80.30 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.09.035.001.01.007) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე. (12-032206120-03)

29. ქალაქ თბილისში, ვარკეთილი 3-ში, მე-2 მიკრორაიონის კორპუს N14-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.39.023.004.01.521) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 11 იანვრის N22.5.3 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის შეთანხმების თაობაზე“. (12-032207590-03 16,03,2022.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი- ნიკოლოზ ჭონქაძე

ნიკოლოზ ჭონქაძის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის დებულების თანახმად, სამსახური უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, თბილისის მერიის, თბილისის რაიონული გამგებობების, თბილისის მერიის ობიექტების, თბილისის საკუთრებაში არსებული ბაღების, პარკების და სკვერების უსაფრთხოებას.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამსახურის სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სამსახურის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება. კერძოდ, ვინაიდან, სამსახური ახორციელებს უსაფრთხოების სისტემების, მათ შორის, ვიდეო-სამეთვალყურეო და საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობების აღჭურვას, მონიტორინგს, მოვლა-პატრონობასა და ტექნიკური მხარდაჭერის ორგანიზებას, საჭიროა სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების, სისტემური

მიმართულობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის გაუმჯობესების მიზნით, კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზირებული განყოფილების შექმნა.

ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 თებერვლის N7 სხდომის ოქმის საფუძველზე გამოცემული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 თებერვლის N1-199 ბრძანება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“.

წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, სამსახურში არსებული „ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების“ ნაცვლად იქმნება ორი განყოფილება:

1. „ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება“
2. „ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება“.

პროექტი დაფინანსდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით „უსაფრთხოების საქალაქო სამსახური“-ს (კოდი 10.13) პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებებიდან.

ანა გოგოლაძემ იკითხა, თუ რატომ დადგა „ორგანიზაციული და ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების“ ორ განყოფილებად დაყოფის აუცილებლობა და იზრდება თუ არა შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა.

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული გამოწვეულია შესასრულებელი სამუშაოების მოცულობის გაზრდით, რაც შეეხება შტატგარეშე მოსამსახურეების რაოდენობას არ გაზრდილა. მოხდა შტატიანი მოსამსახურეების გადანაწილება ორ განყოფილებაში, მხოლოდ პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 სამშაბო ერთეული გადაკეთდა მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) 1 სამშაბო ერთეულად და ერთი თვის თანამდებობრივი სარგოს ფონდი იზრდება 880 ლარით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამშაბო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელი- ნიკოლოზ ჭონქაძე.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების სამშაბო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N5-17 დადგენილებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის სამშაბო ერთეულების რაოდენობა განსაზღვრულია 89 სამშაბო ერთეულით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 23 თებერვლის N7 სხდომის ოქმის საფუძველზე გამოცემული იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 24 თებერვლის N1-199 ბრძანება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურში რეორგანიზაციის დაწყების თაობაზე“.

სამსახურის სამუშაო გამოცდილებიდან გამომდინარე, გამოიკვეთა სამსახურის სტრუქტურაში ცვლილებების განხორციელების საჭიროება. ვინაიდან, სამსახური ახორციელებს უსაფრთხოების სისტემების, მათ შორის, ვიდუო-სამეთვალყურეო და საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობების აღჭურვას, მონიტორინგს, მოვლა-პატრონობასა და ტექნიკური მხარდაჭერის ორგანიზებას, საჭიროა კონკრეტული მიმართულებით სპეციალიზირებული განყოფილებების შექმნა, კერძოდ:

„ორგანიზაციული უზრუნველყოფის განყოფილება“ – 8 სამშაბო ერთეულით:

„ ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება“ 7 სამტატო ერთეულით:

გარდა აღნიშნულისა, სამსახურის საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების უზრუნველსაყოფად, სტრუქტურული ქვედანაყოფების სამტატო ნუსხაში ამ პროექტით ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

სწრაფი რეაგირების განყოფილებას აკლდება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 7 სამტატო ერთეული და ემატება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 3 სამტატო ერთეული

მონიტორინგის განყოფილებას ემატება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 3 სამტატო ერთეული და პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 6 სამტატო ერთეული

ობიექტების დაცვის განყოფილებას აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 3 სამტატო ერთეული

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების დაცვის განყოფილებას აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 4 სამტატო ერთეული.

ბაღების, პარკების და სკვერების დაცვის განყოფილებას ემატება მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული და აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 2 სამტატო ერთეული.

გამგეობების დაცვის განყოფილებას აკლდება პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული გადაკეთდა მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (განყოფილების უფროსი) 1 სამტატო ერთეულად.

დღეის მდგომარეობით სამსახურის სამტატო ნუსხით განსაზღვრულია 89 სამტატო ერთეული, სამსახურის საერთო სამტატო რიცხოვნება არ იცვლება.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

დღის წესრიგით წარმოდგენილი მომდევნო საკითხები წარმოადგინა ირაკლი თავართქილაძემ.

მოისმინეს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე.

წარმოდგენილი ცვლილებების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში შედის ცვლილება და განკარგულების პირველ პუნქტს დაემატა შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ანგარიშსწორება განხორციელდეს უძრავი ქონების მესაკუთრის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, შესაბამის კომერციულ საბანკო დაწესებულებაში, ნასყიდობის საფასურის გადახდის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.“

ირაკლი ხელაძის შეკითხვაზე, მომხსენებელმა განმარტა, რომ დღეისათვის უკვე შესყიდულია 11 ბინა.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავართქილაძის მოხსენებით, ტრესტ „ინჟმშენთან“ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის შექმნისა და მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ“ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 16 მარტის N13.14..327 გადაწყვეტილებით, სამშენებლო ტრესტ „ინჟმშენს“ ნება დაერთო შეექმნა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივი რიგითი ნომრით №664 და დაუმაგრა და მიწის ნაკვეთი ქავთარაძის ქუჩაზე თავისივე საწარმოო ბაზის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე.

„ქავთარაძის ქუჩაზე, ტრესტ „ინჟმშენის“ ტერიტორიის ნაწილზე ამხანაგობის ჩამოყალიბების შესახებ“ ქ. თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1991 წლის 17 ივნისის N7.19.201 გადაწყვეტილებით, საქალაქო საბჭოს აღმასკომის 23.04.91 N04.19.54 გადაწყვეტილების შესრულების მიზნით, დამტკიცდა საინიციატივო ჯგუფი (9 მოქალაქის შემადგენლობით), ჩამოყალიბდა ინდივიდუალური მენაშენების ამხანაგობა და ეწოდა „სხივი-91“. ქ. თბილისის მთავარი არქიტექტორის 1992 წლის 15 ივნისის N293 ბრძანებით ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ქავთარაძის ქუჩაზე მდებარე ტრესტ „ინჟმშენის“ ტერიტორიაზე ინდ. ბინათმშენებლობის ამხანაგობა „სხივი-91“-ისათვის შეთანხმდა 17 სართულიანი, 2 სექციიანი, 64 ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

მომხსენებლის განმარტებით, „იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთების დამაგრების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 5 ივნისის N11.22.239 დადგენილების თანახმად, მიღებულ იქნა ქ. თბილისის მერიის მიწათსარგებლობისა და ქალაქმშენებლობის საქმეთა საქალაქო კომისიის წინადადება (1998 წლის 29 მაისის ოქმი N13) და კონკრეტულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს დაუმაგრდათ მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთები. მათ შორის, აღნიშნული დადგენილების მე-7 პუნქტის მიხედვით, შპს „დიაბეტსა“ და შპს „პეანს“ დაუმაგრდათ მათ მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთები ქავთარაძის ქ. N27-ში. ამავე დადგენილებაში მითითებულია შემდეგი: „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის თანახმად, რომლითაც სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა 1998 წლის 1-ლ სექტემბრამდე შეიმუშაოს სახელმწიფო სავალო ვალდებულების დაფარვის წესი. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ინჟმშენის“ კოოპერატიული სახლის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 1990 წლის 16 მარტის N13.14..327 გადაწყვეტილება და თუ „ინჟმშენის“ საბინაო კოოპერატივი სურვილს გამოთქვამს კოოპერატიული სახლის მშენებლობაზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტმა შეცვალოს გამოყოფილი მიწის ნაკვეთი სხვა შესაბამისი ტერიტორიით.“

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია ამხანაგობის განცხადებები, სადაც ამხანაგობა ითხოვდა ქავთარაძის ქ. 27-ში მათთვის გამოყოფილი და სხვა პირებისთვის გადაცემული მიწის ნაკვეთის სანაცვლოდ, სხვა ტერიტორიის გამოყოფას, რაზეც სააგენტოს 2019 წლის 06 ივნისის 61-01191573671 წერილით განემარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებულ კოოპერატიულ ბინათმშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულების საკითხის დარეგულირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 9 მარტის N419 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას თავისი კომპეტენციის ფარგლებში ეთხოვა ზემოაღნიშნული განკარგულებით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებების (კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების დაკმაყოფილების მიზნით) გატარება. ასევე, განემარტა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე, სახელმწიფო შიდა ვალის აღიარება და საქმის გარემოებათა გამოკვლევა ხორციელდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დამუშავებულ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის გადმოგზავნილ დოკუმენტაციაში (კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული პირების შესახებ) იბა „სხივი - 91“ არ ფიგურირებს, შესაბამისად, აღნიშნული ამხანაგობის მიმართ, კოოპერატიული ბინათმშენებლობიდან გამომდინარე სახელმწიფო საშინაო ვალი აღიარებული არ არის, რის გამოც, სააგენტო სამართლებრივად მოკლებულია ამხანაგობის თხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ამხანაგობის მიერ აღნიშნული წერილი გასაჩივრებული იქნა სასამართლოში. კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამხანაგობის მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 აპრილის N01-01201121267 გადაწყვეტილება და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა იბა „სხივი 91“-ს მოთხოვნასთან დაკავშირებით. სასამართლოებმა ასევე მიიჩნიეს, რომ: „ადმინისტრაციულმა ორგანომ სათანადოდ არ შეაფასა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 5 ივნისის N11.22.239 დადგენილების შინაარსი და იმსჯელა არა გამოყოფილი მიწის ნაკვეთის სხვა შესაბამისი ტერიტორიით ჩანაცვლებაზე, არამედ - ალტერნატიული მიწის ნაკვეთის გამოყოფაზე.“ სასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებულია შემდეგი: „მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო მიიჩნივს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სადავო საკითხთან დაკავშირებით მოსარჩელეს ისე უთხრა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რომ არ იმსჯელა და სათანადოდ არ შეაფასა ის დოკუმენტაცია, რომელიც არსებობდა სადავო აქტის გამოცემამდე. ასევე ყურადღება გაამახვილა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 21 აპრილის N01-01201121267 გადაწყვეტილებით ამხანაგობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველზე. ვინაიდან, აღნიშნული გადაწყვეტილებით ამხანაგობის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ერთ-ერთ საფუძველად მიეთითა, რომ აღნიშნული ამხანაგობის წევრები არ წარმოადგენენ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონით აღიარებული კოოპერატიულ ბინათმშენებლობის დაუსრულებლობის დაზარალებულ პირებს, სასამართლომ ხაზგასმით განმარტა შემდეგი: „რაც შეეხება საკითხის სახელმწიფო „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულ პირთა წინაშე სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჭრილში განხილვას, ამხანაგობის მოთხოვნა არ უნდა იქნას განხილული „სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის ფარგლებში კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაზარალებული პირების მიმართ ვალის აღიარების კონტექსტში, არამედ უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური შემთხვევა, რაც წარმოიშვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 5 ივნისის N11.22.239 დადგენილების საფუძველზე.“

სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების ფარგლებში, 2022 წლის 03 თებერვალს სააგენტოში წარდგენილ იქნა იბა „სხივი 91“-ის თავმჯდომარის, ლელა გეჯაძისა (პ.ნ: 16001009672) და შპს „აპპარტას“ (ს/კ: 405334525) დირექტორის, გიორგი ქოზაურის (პ.ნ: 01024040403) N22/01220341580-61 ერთობლივი განცხადება, რომლითაც ირკვევა, რომ ამხანაგობის მიერ მოძიებული იქნა ინვესტორი კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ ამხანაგობისთვის საკუთრებაში გადასაცემ უძრავ ქონებაზე მშენებლობას და ამხანაგობის წევრთა დაკმაყოფილებას.

მითითებულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1991 წლის 23 თებერვლის N04.17.64 გადაწყვეტილებით ტრესტ „ინჟინერისთვის“ გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე (ქავთარაძის ქუჩა 27) იბა „სხივი 91-ს“ უნდა განეხორციელებინა 17 სართულიანი, 2 სექციიანი, 64 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ამხანაგობის წევრთა დასაკმაყოფილებლად საკმარისია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე N01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთი თუ მასზე გავრცელებოდა საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 და მისი შესაბამისი სამშენებლო პარამეტრი იქნებოდა - კ-2=3.5. თუმცა, ვინაიდან დღეის მდგომარეობით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთს მინიჭებული აქვს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა (სსზ-2), ხოლო განაშენიანების კ-2 კოეფიციენტი განსაზღვრულია 4,6-ით, ინვესტორი კომპანია გამოთქვამს მზადყოფნას გადაიხადოს აღნიშნულ კოეფიციენტებს შორის სხვაობის შესაბამისი ოდენობა არაუმეტეს 700 000 (შვიდასი ათასი) ლარის ოდენობით.

რაც შეეხება ქ. თბილისში, დოლაბაურის ქ. N6-ში მდებარე, N01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2129 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, აღსანიშნავია, რომ თბილისის ინტერაქტიული რუკის მონაცემებით, დღეის მდგომარეობით, მის ძირითად ნაწილზე ვრცელდება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით (კ2) – 4,6, ხოლო მცირე ნაწილზე - სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1). შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, კ2 კოეფიციენტის ფარგლებში ასათვისებელი განაშენიანების მაქსიმალური ფართობი შეადგენს - 9 793,4 კვ.მ-ს.

მომხენებელმა აღნიშნა, რომ 1992 წლის 15 ივნისის N293 ბრძანების მიხედვით, ამხანაგობისთვის ქავთარაძის ქ. N27-ში გამოყოფილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული პროექტის მიხედვით, ამხანაგობას შეეძლო აეშენებინა 8752 კვ.მ განაშენიანების ფართობის მქონე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ამხანაგობისთვის გადასაცემი ტოლფასოვანი მიწის ნაკვეთის დადგენის პროცესში, ორიენტირად აღებულია სწორედ აღნიშნული მოცემულობა და მიწის ნაკვეთის ტოლფასოვნება განსაზღვრულია მოძიებული მიწის ნაკვეთის იმავე სამშენებლო პოტენციალით განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

ქ. თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე N01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით ($\kappa_2=3,5$) მშენებლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა 7451,5 კვ.მ განაშენიანების მქონე ფართობის შენობა-ნაგებობის მშენებლობა. მიუხედავად იმისა, რომ მითითებული ფართობი ნაკლებია 1992 წლის 15 ივნისის N293 ბრძანებით შეთანხმებული პროექტის განმარტებით ბარათში მითითებულ - 8752 კვ.მ ფართობზე, ამხანაგობა თანხმობას აცხადებს, რომ ამხანაგობის წევრთა დასაკმაყოფილებლად აღნიშნული საკმარისია და თანახმა არიან ქავთარაძის ქ.27-ში გამოყოფილი მიწის ნაკვეთისა და მის სანაცვლოდ მუნიციპალიტეტის მიერ გადასაცემი მიწის ნაკვეთის (N01.17.13.040.067) ტოლფასოვნება შეფასდეს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის მითითებული პარამეტრების გათვალისწინებით, ხოლო ვინაიდან, გადასაცემ მიწის ნაკვეთზე (N01.17.13.040.067), დღეის მდგომარეობით, ვრცელდება საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2, ისინი თანახმა არიან, მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ გადაიხადონ აღნიშნული ზონების პარამეტრების გათვალისწინებით საბაზრო ღირებულებებს შორის არსებული ფასთა სხვაობა.

სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს 2021 წლის 17 ნოემბრის N5007766221 დასკვნის მიხედვით, ქ. თბილისში, დოლაბაურის ქ. №6-ში მდებარე, №01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 2129 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება 2021 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით: საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრების გათვალისწინებით ($\kappa_2=4.6$) საორიენტაციოდ შეადგენს 3 359 562 ლარს, ხოლო საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრების გათვალისწინებით ($\kappa_2=3.5$) - 2 686 798 ლარს. ამასთან, აღნიშნულ საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობა ფუნქციური ზონების გათვალისწინებით (საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 ($K_2=4.6$) - 3 359 562 ლარი, საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 1 ($K_2=3.5$) - 2 686 798 ლარი) შეადგენს 672 764 ლარს. აღნიშნული თანხა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით მრგვალდება 672 800 ლარამდე. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მისაღებად მიიჩნევს წარმოდგენილ საექსპერტო შეფასებას და საპრივატიზებო საფასურად განსაზღვრავს მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებებს შორის სხვაობის არანაკლებ ოდენობას - 672 800 ლარს.

მომხრე-8 თავი შეიკავა-ანა გოგოლაძემ, დავით ფარცვანიამ.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრთა უმრავლესობამ დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე.

ირაკლი თავრთქილაძის მოხსენებით, მოქალაქე კარლო ტალახაძემ (პ/ნ 01007004010) მიმართა თბილისის მუნიციპალიტეტის მერს და ითხოვა ქალაქ თბილისში, შატბერაშვილისა და კეკელიძის ქუჩის მიმდებარედ, მის საკუთრებაში არსებული საკ.კოდი:№01.14.12.003.127 -ით რეგისტრირებული 1261 კვმ მიწის ნაკვეთის ადგილმონაცვლეობა.

ახალი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღებამდე აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა3 (სზ-3) და 2017 წელს გაიცა თანხმობა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენებისა და განაშენიანების დამტკიცებული გეგმის კორექტირებაზე შემდეგი კოეფიციენტებით: კ1-0,5,კ2-2,1,კ3- 0,2.

ახალი „გენერალური გეგმის“ დამტკიცების შემდგომ, მიწის ნაკვეთს (საკ.კოდი: №01.15.04.020.006.01.596) მიენიჭა სატყეო ზონა, ამავე დროს მასზე ვრცელდება გამწვანებული ტერიტორიების ფენა და ისტორიული ნაწილის დამცავი ზონა. ტერიტორია ევანიას ქუჩის ბოლოს, წარმოადგენს ლანდშაფტისა და გარემოს დაცვისათვის მნიშვნელოვან არეალს, რომელიც მოიცავს წითელ წიგნში შესული სახეობების გავრცელების არეალს, რომლის ხელყოფაც დაუშვებელია. აქედან გამომდინარე მესაკუთრეს შეუზღუდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენება.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, სააგენტოს მიერ გაცვლის ფორმით პრივატიზების მიზნებისთვის, კარლო ტალახაძისათვის მეთავაზებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები: ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში 753 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132); ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 95 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596) და ქალაქ თბილისში, ფხოვის ქუჩა №3, მე-3 სართულზე 82,50 კვ.მ. ფართი (საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594), რაზედაც მოქალაქე აცხადებს თანხმობას. ამავე დროს იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების ღირებულება აღემატება, კარლო ტალახაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულებას, მოქალაქე გამოთქვამს მზადყოფნას, გადაიხადოს სხვაობის არანაკლები ოდენობით მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განსაზღვრული საპრივატიზებო საფასური.

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებები (საკადასტრო კოდი: №72.16.28.132; საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.596; საკადასტრო კოდი: №01.15.04.020.006.01.594), შეფასდა ჯამში 885468 ლარით, ხოლო კარლო ტალახაძის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (საკ.კოდი: №01.15.04.020.006.01.596) შეფასდა 857 480 ლარით. სხვაობა შეადგენს 27988 ლარს. შესაბამისად საპრივატიზებო საფასური განისაზღვრა 28000 ლარით.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

მოისმინეს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, წარმოდგენილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტს“ (ს/ნ: 405323699) შორის 2019 წლის 28 ივნისს გაფორმებული „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ იმპლემენტაციის ხელშეკრულების“ ფარგლებში განსახორციელებელი ზოგიერთი დონისძიების შესახებ.

ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას და შპს „ვარკეთილი დეველოპმენტს“ შორის, „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების თაობაზე ინტერესთა გამოხატვაში გამარჯვებულად შპს „ვარკეთილი დეველოპმენტი“-ს (ს/კ 405323699) გამოცხადების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 12 აპრილის N19.417.543 განკარგულების საფუძველზე, გაფორმდა „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-3 მასივში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის მიზნით უძრავი ქონების პრივატიზების პროექტის შესახებ“ იმპლემენტაციის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების მე-2 პუნქტის თანახმად, იმპლემენტაციის ხელშეკრულების საგანია შენობა-ნაგებობების მშენებლობა და მუნიციპალიტეტისთვის, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის ტერიტორიაზე ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახების დაკმაყოფილების მიზნით, 7545 კვ.მ ჯამური ფართის მქონე საცხოვრებელი ბინების გადაცემა იმპლემენტაციის ხელშეკრულების პირობებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ხელშეკრულების მე-3 პუნქტის თანახმად, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს კომპანიას ქალაქ თბილისში, მასივი III (ნაკვ. 20/025) მდებარე 30205.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს (ს/კ N01.19.20.020.025).

დღეის მდგომარეობით, N01.19.20.020.025 საკადასტრო ერთეულის დაყოფის შედეგად ფორმირებულია 5 მიწის ნაკვეთი.

ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია მოიპოვოს მშენებლობის ნებართვა თითოეულ ლოტზე ცალ-ცალკე.

IV ლოტზე მშენებლობის ნებართვა უნდა მოიპოვოს ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 24 თვეში (28/6/2021) - ს/კ N01.19.20.020.122 (მშენებლობის ნებართვა გაიცა 30.12.2021წელს)

V ლოტზე ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 30 თვეში (28/12/2021) - ს/კ N01.19.20.020.123 (არ არის გაცემული ნებართვა)

ხელშეკრულების 8.1.4. ქვეპუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 36 თვის ვადაში განცხადებით მიმართოს უფლებამოსილ ორგანოს იმ საცხოვრებელი კორპუს(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე, რომელშიც განთავსებულია საცხოვრებელი ბინები.

ხელშეკრულების მე-13 პუნქტის თანახმად, ასაშენებელი/აშენებული შენობა-ნაგებობ(ებ)იდან ფართების გასხვისების სურვილის შემთხვევაში, კომპანია ვალდებულია, თითოეულ ლოტზე მშენებლობის დაწყებიდან არაუმეტეს 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში აცნობოს სააგენტოს, რომ სურს შესაბამის ლოტზე ფართების გასხვისება და ფართების გასხვისებამდე წარმოადგინოს სამშენებლო საბანკო გარანტია.

ხელშეკრულების მე-16 პუნქტის თანახმად, კომპანია ვალდებულია, იმპლემენტაციის ხელშეკრულების დადებიდან არაუმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში მუნიციპალიტეტს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადასცეს შენობა-ნაგებობიდან 7545 კვადრატული მეტრის ჯამური ფართის უფლებრივად უნაკლო საცხოვრებელი ბინები ე.წ თეთრი კარკასის მდგომარეობით.

ხელშეკრულების 25-ე პუნქტის თანახმად, კომპანიის მიერ თითოეულ სამშენებლო ფაზის ფარგლებში ხელშეკრულების V ნაწილის შესაბამისად, გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს კომპანიისთვის პირგასამტეხლოს დაკისრებას 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, გარდა ექსპლუატაციაში მიღების ვალდებულებისა.

როგორც ირაკლი თავართქილაძემ აღნიშნა, ქონების შემძენმა სხვადასხვა დროს განცხადებებით მიმართა სააგენტოს და განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებით განკარგულ მიწის ნაკვეთზე, ამავე ხელშეკრულების გაფორმებამდე დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმა არ შეესაბამებოდა რეგისტრირებულ საკადასტრო საზღვრებს და საჭიროებდა კორექტირებას, რაც თავისთავად აფერხებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული IV და V ლოტებისთვის მიკუთვნებული ნაკვეთების დამოუკიდებელ საკადასტრო ერთეულებად რეგისტრაციისა და შესაბამისად თითოეული ლოტის ფარგლებში მშენებლობის ნებართვის აღების პროცესს. მითითებული გარემოებებისა და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მხრიდან სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება მიმდინარეობს მსოფლიო პანდემიის პირობებში, კომპანიამ ითხოვა ხელშეკრულების გარკვეული პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გაგრძელება და IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის გამო, ხელშეკრულების 25-ე პუნქტით დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

მომხსენებლის განმარტებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენდა კომპანიისგან დამოუკიდებელ, თუმცა, განსახორციელებელი სამუშაოების შემაფერხებელ მიზეზს, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ კომპანიის მიერ შესაბამისი (თავდაპირველი) განცხადება წარმოადგენილ იქნა დროულად, ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადის გასვლამდე, მხარეთა შეთანხმებით, მიზანშეწონილია დაკმაყოფილდეს კომპანიის მოთხოვნა და ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

-ხელშეკრულებას დაემატება 1.16 პუნქტი და ჩამოყალიბდება შემდეგი რედაქციით: „1.16. განაშენიანების რეგულირების გეგმა - ამ ხელშეკრულების დანართი N3-ით გათვალისწინებული განაშენიანების რეგულირების გეგმა, „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილის III მასივის მიმდებარე ტერიტორიაზე

საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის (I ეტაპი) პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 5 დეკემბრის N60 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 19 ოქტომბრის N509 განკარგულებით, მასში შესული ცვლილებების გათვალისწინებით“.

-8.1.1. ქვეპუნქტის მიხედვით, IV ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრება ნებართვის ფაქტობრივად მოპოვების თარიღი - არაუმეტეს 2021 წლის 30 დეკემბერი, ხოლო V ლოტზე მშენებლობის ნებართვის მოპოვების ვადად განისაზღვრება - არაუმეტეს 2022 წლის 19 ოქტომბერი;

-8.1.4. ქვეპუნქტსა და მე-16 პუნქტში, საცხოვრებელი კორპუსების ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე უფლებამოსილი ორგანოსთვის მიმართვისა და მუნიციპალიტეტისთვის ფართების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ვადა, 36 თვის ნაცვლად, განისაზღვრება 42 თვით;

-მე-13 პუნქტის ცვლილებით, გაუქმდება სააგენტოსთვის ფართების გასხვისების თაობაზე მოთხოვნის წარსადგენად განსაზღვრული მაქსიმალური 90 (ოთხმოცდათი) დღიანი ვადა, თუმცა უცვლელი რჩება საბანკო გარანტიის წარმოდგენის ყველა პირობა და წესი.

ამასთანავე, წარმოდგენილია საკითხი ხელშეკრულების 8.1.1. ქვეპუნქტით გათვალისწინებული, IV და V ლოტებზე მშენებლობის ნებართვის მოპოვებისთვის დადგენილი ვადების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 25-ე პუნქტის შესაბამისად, დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან შპს „ვარკეთილი დეველოპმენტის“ (ს/ნ: 405323699) გათავისუფლების თაობაზე.

მომხრე-10

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასა და გადაწყვიტეს საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

